ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 09-129/1

ქ.თბილისი 27 სექტემბერი 2013წ.

ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის ერთის მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მისი მინისტრის პირველი მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორე მხრივ შპს „დეკორი" დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირი (შემდგომში მიმწოდებელი) ვხელმძღვანელობთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საქართველოს კანონის 20[2] მუხლის „საბეჭდი ქაღალდის სახელმწიფო შესყიდვების კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ" 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (CON130000021) საფუძველზე, განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების დაფინანსების ფარგლებში (პროგრამული კოდი 320101), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: 1000 ცალი (500 ფურცლიანი შეკვრა) პირველი ხარისხის ფორმატის საბეჭდი ქაღალდის „COPY POWER" მოწოდება.

2. კოდი, საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან 7 დღის ვადაში.
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5130 (ხუთიათას ასოცდაათი) ლარს.
2.3 ერთეულის ფასი შეადგენს 5.13 ლარს (CPV30197630).

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეების მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი გიორგი გურგენიძე.
4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების ყველა პირობა და განახორციელონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება უმაღლეს დონეზე.
5.3 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

ხელშეკრულების პირობების ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო.

7.მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშკრულების პირობების დარღვევისას

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5%--ის ოდენობით.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შემდეგ იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
8.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.4 მხარე ვალდებულია 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდედლობის შესაბამისად.

10.ფორსმაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით (ხანძარი, წყალდიდობა და სხვა სტიქიური მოვლენები, ომები, ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა) თუ ისინი უშუალო ძემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
10.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისის დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ. მხარე რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება კანონმდებლობით.

12.2 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

12.3 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის, 52

სახელმწიფო ხაზინა

კოდი: TRESGE22

ა/ა №GE24NB0330100200165022

ს/კ №202051224

მინისტრის პირველი მოადგილე

ქეთევან ნატრიაშვილი

მომწოდებელი

შპს „დეკორი"

ს/კ 203868635

სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი

ბ/კ BAGAGE22

ა/ა GE41BG0000000211219900

მის: ქ.თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. #63

ტელ: 2 24 05 05 (599100474)

დირექტორი:

დიმიტრი კვეკვესკირი